


601630

№ 13 თბილისი 03 ივნი 1951 წ.
გამოცემული „კომედიის“ წერტილი ვაკე 2 გვ.

საქართველო
სახალხო კულტურის
მუზეუმი

Обязательный знакомый



ნახ. გ. ლომიძეს

03030

ფრანგ მამართან მიცუნცუდა ღიპლომატი მედა.
თქვა: „იმხედა სპილო ენახე, საფრთხეში ვართ ყველა!“

მის ნინ მარტო რომ აჩ დავრჩეთ. რომ აჩ ვიგრძნოთ შიში,
მოვაშენოთ მოჩხუბარი ყვინჩიდების ჟიში.“ —

აქ მამადსაც შეებრადა. სჩანს. თავისი ყელა...
ოცი ფერმის მოშენებას მოაწერა ხელი.

დე, საბრალომ განაჩენი თვითონ მოისმინოს,—
ის ხომ მედას უფრო „უყვარს“. ვიზრე გუდმშვიდ სპილოს.
გოგოთურ მიმრიაული

მოკითხვები აუ ნაზრი ნიჭირით...

რუსის განაცხად-ტრაქტორითა საღარის კომისარების მიხელ გაბრიელის-ძე უშეაზნის

ეროვნული
სამსახური

მოკითხვას გითვლი ნახვის ნატერით, თანამესუფრეთა-
გან დიდად პატივნაცემ მიხეილ!

პირადად მსურდა რუსის ჩამოსულა, მაგრამ მოსავლის
აღების ამ დღეებში ისე ხშირად მიხდება რაიონიდან-რაი-
ონში გადასულა, რომ ჯერჯერობით შუაქართლამდე ვერ
მოვალწიო.

ესეც არ იყოს, ვგულისხმობდი ქართლის მინდვრებში
ახლა პური ჟევე შემოსულია, მოსავლის აღება საცაა მისა-
წურჩეა და მტს-ში მცონარეს გარდა ვინ დამხდება-მეთქი?
ვინ იცის, რუსელი მიხო რომელ მინდორში დაგელვებს
თავის კომბაინს, რომელ ნაკვეთზე პარსაგს მსხვილთავთავა
დოლიასურა და ბუნერს-ბუნერზე სკლის ხორბლის მიმ-
ღებ პუნქტში გასავზავნად-მეთქი!

აღარ გამოვეშურე თქვენსკენ.

წარმოდგენილი მაქვს ამ სიტყვებშე როგორ ჩაიღიებ
დალაქ ვასოს მიერ შექრექილ ულვაშებში და იტყვი:— „მარ-
თლაც ხუმარა ყოფილა ეს ნიანგი, რა დროს მინდვრად ჩე-
მი გასვლაა, როცა ჯერ კომბაინიც კი შესაკეთებელი მაქვსო?“

აი, ეგ კი ვერ გავითვალისწინ! ვერ გავიხსნე, რომ
ეს მთელი წელიწადია, შენი კომბაინი დგას და შემოგცე-
რის—როდის დაამთავრებს ჩენი მიხო თავისი „მოსკოვის“
აღდგნას, რომ ჩემთვისაც მოიცალოს, შარშან დაზიანებული
ხელერი შემიკეთოს, გაცვეთილი კბილანები გამომიცვალოს
და წესრიგში მომიუგანოს კარზე მომდგარ მოსავლის აღ-
ბისთვისაო!

შაგრამ იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, კომბაინი ბჭო-
ბდა—მიხო იცინოდა— ისე გამოვიდა.

შენ რომ შარშან მოსავლის აღება ცუდად არ დაამ-
თავრე, ეს ვიცით. არც ის არის ჩენითვის უცნობი, რომ
შარშანდელს აქეთ პურით ნათესი ფართობები ყველგან გაი-
ზარდა, საკოლმეურნეო მინდვრებშე გმირული შრომა გა-
ნალდა და მოსავლის ასაღებად გეგმიანი შზადება გაიშალა
თვით თქვენშიც, რუსშიც.

შენ კი... შენ კი— მოუცულელობის გამო ყველაფერი ეს
უურიდან-უურში გაატარე. კაცმა რომ თქვას, თავისებურად
„საპატიო ობიექტური“ დაბრკოლება გქონდა: აბა, რა საჩ-
ქარო იყო კომბაინის შეკეთება გასულ შემოდგომაზე? მა-
შინ ხომ პური ახლად იყო დათესილი! ან ზამთარში, ან,
ვთქვათ, გაზაფხულზედაც კი... ჯეჯილი ხომ არსად გაიქცე-
ოდა, ან კომბაინი ხომ ენას არ ამოიდგამდა—არიქა შემა-
კეთოვო?

კაცმა რომ თქვას, თქვენი მტს-ის დირექტორისაც არ
სჩევია „ფრჩხილში ჩახედვა“ იმის დასანახავად, თუ რამ-
დენად ოპერატორად სრულდება სარემონტო სამუშაოები!

რაკი ამდენი საპატიო მიხეზი არსებობდა, შენც აღექი
და საკუთარი პერანგი საკუთარ ტანხე მოირგე, ესე იგი, სა-
კუთარი „მოსკოვის“ ჩააყენე შესაკეთებლად; ის დაფეხილი,
ის დაკოჭლებულ-დაკუზიანებული, ხეიბარი „მოსკოვის“ კომ-

ბაინის ხარჯზე გამოაჯანმრთელე, მოაჯექი და ოძელაშვი-
ლის ლურჯასავით გააჭინ-გამოაჭინე: აქეთ სუფრა, იქით ქე-
ფი! ვინ მოსთვლის!

ამასობაში ზამთარიც გავიდა, გაზაფხულიც მიიღია,
ზაფხული დაიწყო და მოსავლის აღების დღეებმაც დაკა-
კუნეს რუსის მტს-ის კარებზე!

— კომბაინი? პოო, მართლა, კომბაინი! აბა, როგორ გავი-
ყვანო მინდვრად, როცა ჯერ შესაკეთებელია? — „დაუსატუ-
თე“ მაშინ თქვენი მტს-ის დირექტორ ტიტვინიძეს. ახირე-
ბული ხალხია: არავითარი საპატიო მიხეზი მხედველობაში
არ მიიღეს, იმასაც კი არ გაუწიეს ანგარიში, რომ ზესტა-
ფონელ მეგობარს ლევან საყვარელიძეს მასპინძლობა გაუ-
წიე; დამტვრეულ „მოსკოვის“ ის შენი შეკეთებული მანქანა
„გაუცვალე“, კაი სართი გადაახდევინე, და ახლა მისი დამ-
ტვრეული მანქანა ჩააყენე რემონტში მტს-ის ხარჯზე შესა-
კეთებლად. მაშ როგორ? აბა, რა სტუმართმოყვარეობა გა-
მოვიდოდა, თუკი იმერეთიდან ჩამოსულ სტუმარს ქარ-
ლურ მასპინძლობას არ უჩვენებდი?

ტიტვინიძე კი ადგა და № 163 ბრძანებით ასე შეაფასა
შენი სტუმართმოყვარეობა:

„შრომატევადიან სამუშაოთა მეცნოველობის დარ-
გვი უფროს მექანიკოსს ამხ. შინეილ გაბრიელიძე-ძე
უზერაშვილს დავალების შეუსრულებლობისათვის გა-
მოეცხადოს საყვედური“.

მართალია, ამ ბრძანებაში მორცხვადაა ნათქვამი „და-
ვალების შეუსრულებლობისათვის“ (ესე იგი, კომბაინის
შეუკეთებლობისათვის, ანუ მოსავლის აღების შენი წილი
გეგმის ჩაშლისათვის!) მაგრამ შენ მაინც ნაწყენი დარჩი!
მაგ დალოცვილს, რაღა მაინც დამტვილც 9 ივნისს გაახსნდა
ეს დავალება? სად იყო მთელი წლის განმავლობაში, რატომ
ერთხელ აზ შეგახსენა—მავან და მავან დროს პური შემოვა
და კომბაინი იქნება საჭიროო? განა არა, თვითონვე უგრ-
ძნია უხერხულობა და ბრძანებაზე ხელისმოწერა თავისი
მოადგილე კლიმიაშვილისათვის დაუვალებია.

გეწყინებოდა, მაშ რა იქნებოდა?


რაკი ასე გაწყენიეს, შენც ჯიბრზე აღარ შეაკეთე კომ-
ბაინი, მინდორში არ გაიყვანე, გაებუტე და მოსავლის აღ-
ბაში მონაწილეობა აღარ მიიღე.

მართალია, თქვენს რაიონშიც დროზე დაიწყო და დრო-
ზე დამთავრდება პურის აღება, მაგრამ შენ ხომ მაინც თავი
არ დააჩაგჭინება და ესეც საქმეა თავმოყვარე ვაუკაციისათვის.

ახია ამხანაგ ტიტვინიძეზე, რადგან მას ეგ ბრძანება
სხვა სიტყვებით უნდა დაეწერა, ჩენის აზრით, იმ სიტყვე-
ბით, რომლებითაც თვით ხალხი გამოსთვევას თავის ალ-
შფოთებას აქ მოთხოვთ აღმაშფოთებელი დაუდევრობის
შესახებ. ამას კი ჩენ მოველით.

სხვებრ მიიღე ჩემი ჯეროვანი სურვილები და სხვ.

ნიუზი



უზავადოვა

მე მყავდა ერთი მეზობელი,
(არ მახსოვს გვარი!)
თავაზიანი ღა ენამზე,
ჩუმი ღა შენარი.

მებალე რყო ღა იმ ბალში
დარგულ მცენარეს
დასტრიაღებდა ღლებალამე
პირმოცინარე!

აღტაცებისგან ხრიაღებრნენ
მისი ძმობირნი,
ესთეტიკური გემოვნებით
ერთ ღროს ცნობირნი;

მოსწონდათ მწვანედ შეფოთლიდი
ყვავილის ლერი,
მისი სინაზე, სინატიფე,
მიმქრადი ფერი!

ღა მეც ვენვიე ჩემს მეზობელს,
ვნახე მებალე,
მეც მონიშებით მისი ბალის
კარი შევალე,

დაუწენე ძებნა უცხო ყვავილს
მღედვარე გუღით,
ღა ვნახე კიდეც საგანგებოდ
ქოთანში რგუღი,

შევხერე, ხარხო, მისმა ნახვამ
ლიმი მომფინა,—
განა ყვავილი,—თურმე იგი
ანწდი ყოფილა!

* *

მე იმ ნამშივე მომაგონდა
სხვა მეზობელი,—
ერთი პატარა ყანგმოდებულ
ჩანგის მფლობელი!..

ღა თუ გაღობად ესმის ვინმეს
მისი კნაციდი,
უცხო ყვავილად მან ჩასთვალოს
ანწდის ყვავილი!

ხუთა გერულავა



ს. 6.

— იყავი პროფესორთან?

— ვიყავი და მეც შენსავით გულშემოყრილი დავბრუნდი. მეგონა „ფზმორიეს“, „ქიხლოვოლსკის“ ან „სოჭას“ მაინც მირჩევდა. მან კი ლიმილით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მითხრა: თუ გინდათ თავი კარგად იგრძნოთ, ავტო დასტმეთ, ტკბილეული დასტმეთ და დილდილობით ადრე შეუდექით საქმიანობასაო...

— გასაოცარია, თავი როგორლა უნდა იგრძნო კარგად, თუ ქალი აფროს დასტმობ, ტკბილეულს დასტმობ და დილით თერთმეტ საათაშიდე არ ინებივრებ ლოგინში?

პოლიტიკური თვალის ერთი გადაჭრებით

ტყის 480




გასცდებით თუ არა ბორჯომ-ბაღის სადგურს, თვალში გეცემათ მჩქეფარე შადრევანი, რომლის წყალი ისეთ ტალახ-წუმპეთი საესე აუზში ჩაჩრიალებს, კაცს გეგონება, ეს არის მთელი ბორჯომი მოუკლელი დარჩენილა და დასვენება თუ გინდა, აქედან სადმე შორს უნდა გაასწროო.

მაგრამ პირველი მიხედ-მოხედვაც კი გაგრძნობინებთ, რომ ძველად თუ აქური ჰავა მხოლოდ ჩამოსულებს უხდებოდა, ახლა სიო იმდენად შეცვლილა, თვითონ ქალაქ ბორჯომსაც მოხდენია: კველვან ფაცი-ფუცია, მტკვრის სანაპირო ქუჩის მთავირებით დამშენების შემდეგ, მუშები გზას დასევიან და ჩაქუჩით დამტკრეული ხრეშით პირდაპირ ბაკურიანისკენ მიიმართებიან.

ვისაც მწვანეში ჩამჯდარი ბორჯომ-ბაღი ახსოეს, შეიძლება გაუკვირდეს, რომ აქაც გაფაციცებით მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება. რავი ადგილი აღარ ჰყოფნით, ლამის არის ხე ხეზე დარგონ და თბილისში თუ საზოგადოება „ტყის მეგობარი“ არსებობს, აქ „ტყის დედა“ თუ არა, „ტყის ძმა“ მაინც უნდა არსებობდეს.

სტუმარი გასპინძლები



ლიკანის სანატორიუმის შესასვლელთან კიბეზე რამდენიმე კაცი შემოგვხდა. მათ შორის ხაბაროვსკელი ნ. ზამტოვტი, სამხრეთ-სახალინელი ა. დუმპოვი, არხანგელსკელი ა. ბასკავოვა ღიმილით შემოგვევებნენ და შეგვიპატიეს:

— მობრძანდით, მეგობრებო, ჩვენ არც ისეთი უხეირო მასპინძლები გართ, რომ სტუმრები გარეთ გავაჩეროთ!

პირველად კინალამ გაგვიკვირდა, რომ ცხრა მთის იქიდან ჩამოსული ამხანაგები თბილისელებს მასპინძლობას აქ გვიპირებდნენ, მაგრამ უცბათ გაგვახსნდა, რომ თვალუწვდენელ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში კაცი თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. და ამ ტუმარ-მასპინძლებს ღიმილითვე შევყევით სანატორიუმის პირველ კორპუსში. აქ ისეთი სისუფთავე დაგვხდა, როგორზეც მხოლოდ აბანდან ახალგამოსული კაცი ითიქრებს. ჩვენი აღტაცება მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როცა ერთ-ერთ ოთახიდან ერთი ვილაც არყით წამოკარხლებული დამსვენებელი გამოვიდა და ბოდიშნარევი კილოთი მოვარდა:

— ნუ გამამტუნებთ, ძმებო, ამ შუა ზაფხულში, აქ, ლიკანში, ციგა!


თბილისელმა დამსვენებელმა შალვა წივწივაძემ დანახვის-თანავე ხელი გაგვიყარა და სურათის გადასაღებად ფოტო-გრაფთან წაყოლა გვთხოვა:

— სხვა რომ არა იყოს-რა, აქ სურათის გადაღება ისე ითვის, „საქონტოსთან“ და სხვა არტელებთან შედარებით ჩალის ფასად მოგეჩვენებათ...

წივწივაძის ხუმრობა მართალი მხოლოდ იმ მხრივ გამოდგა, რომ ვილაც შემთხვევით ფოტოგრაფს ნამდვილად გამოეკრა ფოტოგადალებების ნიხრი და საკუთარი თავი „საქონტოს“ კონკურენტად გამოეცხადებინა.

ამ მოვლენამ. ცოტა არ იყოს, გაგვკვერწევა შეურტი ისიც გამოირკვა, რომ სანატორიუმის დირექტორი ამზე ქვეთარაძე ყველას მიმართ ზედმეტად გულთბილია და ამის სამაგიეროდ დამსვენებლებს ცივი საჭმელებით უმასპინძლდება.

სათანადო სიმაღლეზე



სხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს შორის „პლატოს“ დასასვენებელი სახლი სათანადო სიმაღლეზე დგას.¹⁾ მაგრამ როგორც დამსვენებელთა წრეში შევიტყეთ, ამ სახლის დირექტორს ამხ. რაფიელ ცინცაძეს ერთი უცნაური რამ დასწერებია: ლამე გამოეღვიძება ხოლმე და „კლუბი... კლუბი...“ ყვირილს ასტებს... ამ საშინელი ჩვეულების გამომწვევი მიზეზი კი თურმე ის არის, რომ თოთხმეტი წელიწადია, კლუბის თუ არა, კლუბის მაგვარ რაიმე შენობის აგებაზე ფიქრობს და სხვადასხვა მიზეზების გამო არაფერი გამოდის. აღმართ კლუბის აშენებას უცდის, რომ დიდი ხნის უკულტურო და უკულტელუბო კულტმუშაკი ერასტი ბილანიშვილი როგორმე გამოცვალოს.

მისამართი ესტრადა



ბორჯომ-ბაღს აქვს შშენიერი დასასვენებელი პარკი, რომელსაც უადგილო ადგილას აგებული ლია ესტრადა ამშვენებს. აქ ნაჩვენებ სანახაობას ბილეთიანი და უბილეთო ერთნაირად უყურებს, რადგან მაყურებელთა „დარბაზი“ სახელდახელოდ ისე არის შემომესრილი, რომ მესერსა და მესერს შორის სისქით განთქმული აქ ჩამოსული ავადყოფებიც კი თავისიუფლად გაძერებიან.

თვითონ ესტრადაზე კი ნორმალურად არც სიმღერა შეიძლება, არც ლაპარაკი, არც კინოფილმის ჩვენება, რადგან იქვე მოჩხრიალ ჩანჩქერის აკომპანიმენტი იმდენად ძლიერია, რომ ყველაზე კარგი სმენის მქონე ორი მოქალაქე ისე ლაპარაკობს, როგორც ორი ყრუ.

კირველი „კირველი“



ბორჯომის მიღამოებში იმდენი სანატორიუმია, რომ კაცი უსათუოდ დაინტერესდები, რომელია მათ შორის პირველი სანატორიუმი.

— პირველი სანატორიუმი გახლავთ, ბატონო, პირველი, — გიპასუხებთ ყველა აქაური.

— მე მუშაობის ხარისხში გეკითხებით. — ძალაუნებურად მეორედ ჰქითხავთ მოპასუხეს.

¹⁾ ზღვის ღონედან.

ჩოგო სუვერენი იმპერატორი

ნახ. დონისა

ეროვნული
პირადი მუზეუმი

თბილისში გავიცელდა ამონაწერი აკადე-
მიკოს ნ. დ. ზელინსკის რჩება-დარიგებისა „სი-
ცოცხლის გახანგრძლივების შესახებ“. როგორც
გამოიჩეა, აღნიშნული „ამონაწერი“ წარმოად-
გენს სიყალბეჭ, რასაც ადასტურებს თვით ნ. დ.
ზელინსკის განცხადებაც.

„ჯანმრთელობის ათი მცნება
ვინც პირველმა გადასწერა,
შაქარმოყრილ ხახვის წვენით
ვადლეგრძელოთ ათასჯერა!

თუ გხურთ თავი დაზღვევოთ,
თავისუფლად სჭამდეთ ნიორს,
თვით ნიორი დააძალეთ
თქვენს მეგობარს, თქვენს პარტნიორს!

თუ გხურთ ღიბი არ დაგედოთ,
ხავალალოდ არ გასუქდეთ,—
სტაფილოს და ჭარხალს უნდა
კურდლელივით ჩაუცუცედეთ!

თუ გხურთ იყოთ ახალგაზრდა,
სატრიცოს თავი მოაწონოთ,
არასდროს არ დაიძინოთ
უვაშლოთ და უმაწონოთ!“

... ჩეენს მომღერლებს გაუმარჯოს,
თუმცა მათი არა გვჯერა...
ჯარგად ვიცით არარსებულ
ჩეენის მოჰყვა ეს ხიმღერა.

გოგოთურ მიზრიული



— მეც მაგას მოგახსენებთ, ბატონო, პირველი გახლავთ,
პირველი! — კვლავ მიიღებთ პასუხს.

პირველი სანატორიუმის მთავარმა ექიმმა ამხ. ქ. ჩორგოლიანმა ბევრი სანატორიუმი შემოიარა, ყველგან იღწეოდა იმისათვის, რომ მისი სანატორიუმი პირველი ყოფილიყო, ასეც ხდებოდა, მაგრამ ბოლოს იმჯობინა პირველი სანატორიუმი გახსადა პირველ სანატორიუმად. მიზანსაც მიაღწია და ახლა ასე ამბობს:

— პირველი სანატორიუმის დამხმარე შენობაში რომ კერძო მცხოვრებლები არ მყავდეს, ჩემი სანატორიუმი უფრო წინ იქნებოდა!

მაგრამ ვინაიდან პირველზე წინ წასვლა მათემატიკურად შეუძლებელია, ამხ. ჩორგოლიანისა არ სჯერათ, მცხოვრებლები არ გადაყავთ.

ათავსოთი ბორჯომი



ახსენებ თუ არა თბილისელი კაცი „ბორჯომს“, თვალ-წინ იმ წუთში იქაური სამურნალო წყალი წარმოგიდგება. ნერწყეს გადაყლაპავ და გაგახსენდება, რომ თბილისში მის საშოვნელად თავს თუ შეიწუხებ, ხშირად ამაოდ დამაშვრალი დარჩები. მიდიხარ ბორჯომისკენ, ხაშურს მიუახლოვ-

დები და აღფრთოვანებული წუთებს თვლი, რომ მალე ელირ-სო სანუკვარი წყლის გამაგრილებელ საოცრებას. მატარებელი ბორჯომსაც მიაკივლებს, თვალს წყალს კი არა, ბორჯომის წყალსაც დაალევინებ, მაგრამ აქ თვალთაგან თვითონ ქალაქი ბორჯომი დაგეკარგება. ქალაქის პირველ რკინიგზის სადგურს მცხოვრებლები „ჩარხისწყალს“ ეძახიან, მეორეს — ბორჯომ-ბალს. დაიწყებ ბორჯომის ძებნას და აღმოჩნდება, რომ ასეთი სახელით მხოლოდ ერთადერთი სასტუმრო სარგებლობს. სასტუმრო „ბორჯომი“ ოდესალაც საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო, მაგრამ ამდენი სტუმრ-მასპინძლობის შედეგად ზოგი რამ გაცვდა, ზოგი დაიკარგა და პირველყოფილი მხოლოდ გარეგანი შეხედულება და დირექტორია დარჩი. სასტუმროს წინსვლას კაცი ისე ამჩნევ, როგორც საკუთარ თავს აქაურ ზოგიერთ პირსაბანის სარკეში, იმ სარკეში, რომელსაც დროთა მსვლელობამ ზურგზე აღებავი მთლად ააცალა და სადღეისოდ, „ზრდილობის გულისათვის“, მხოლოდ შუშა დატოვა. ერთადერთი, რაც გულისათვის, მხოლოდ შუშა დატოვა. ერთადერთი, რაც ყველაზე უფრო გამოსარჩევია, ეს არის სიწყნარე. მაგრამ ყველაზე უფრო გამოსარჩევია, ეს არის სიწყნარე. მაგრამ ჩემი აქ ყოფინის დროს ესეც დაირღვა. რადგან ფოთიდან ჩამოსულმა „დინამოელებმა“, ფეხბურთის მატჩი მოიგეს და საზეიმოდ შეზარხოშებულებმა ისეთი „ზრდილობა“ გამოამჟღვნეს, რომელიც მოკრივეს ეპატიება და ისიც რინგზე.

მაგრამ ფოთელი ფეხბურთელები აქ იშვიათად ჩამოდიან და დანარჩენ დროს კი თავისუფლად შეგიძლიათ დაისვენოთ, ენერგია ალიღინოთ გამშვენიერებულ, კმთილმოწყობილ ბორჯომში.

თავა გ უ ლ ი

მატარებელი პატარა ბაქანთან შექრდა.

ვაგონებმა ხეირიანად გაჩერებაც ვერ მოასწრეს, რომ უკვე მატარებლის უფროსის სასტუკის ხმა გაისმა. ელექტრომავალმა ამაყად შესძახა გზას, ვაგონები შეჭრიალდნენ და ნელა დაიძრნენ.

თავსაფრიანმა დედაკაცმა ძლივს მოასწრო ვაგონში ამოსვლა. შუახის ჭარმაგმა მამაკაცმა ამოსვლა უშეველა. ბარგი კიბის საცეცურზე ჩამოუდო, დაემშვიდობა, მკირცხლად ჩახტა და მატარებელიც მთელი სისტრატით დაიძრა.

ღია ჭარებთან ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი იდგა, ჩვენს კუპეში მგზავრობდა, ელენე ერქვა, მაგრამ თავისითავს ელენს უწოდებდა (მახვილი მეორე მარცვალზე). სახეზე პუდრი ფქვილივით ეყარა, ტუჩები და ლოყები მეტი სალებავისაგან საოცრად აწითლებოდა, წარბები ყალმით დაეხატა, თაც მოწითალო ფერით შეეღება. შორიდან ოცდახუთი წლისა გეგონებოდათ, მაგრამ ახლოდა... ახლოდან, ახალგაზრდობას კარგა ხნის გამომშვიდებული გახლდათ.

თავსაფრიანმა დედაკაცმა დაავლო ხელი თავის ბარგს. იგი კალათს არ ჰგავდა, რადგან ჩემოდნის ფორმა ჰქონდა, არც ჩემოდანს მიაგავდა, რადგან მთლიანად კალათივით იყო დაწწული.

ვაგონში შეტანისას ბარგი შემთხვევით ელენის ფეხს გამოსდო (დაწნულმა ჩემოდანმა, თუ ის ძველია, ალაგ-ალაგ პირის გახსნა იცის).

ელენმა გველნაკებენივით შექივლა, ფეხებზე დაიხედა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... ისეთი ცივი ხმით გატკიოდა, რომ მისმა ხმამ მოსახვევში აყვირებული ელმავლის ხმაც კი დაფარა:

— ჰაი, შე სოფლელო დედაკაცო!.. რომ მოძრები, სად მოძრები!.. არ იცი, რომ ეს რბილი ვაგონია?.. ერთი უყურეთ, კალათებსაც რომ მოათრევს!.. სამასმანეთიანი საზღვარგარეთული ჩულქი კინალამ რომ დამიხიე, რას აპირებდი!.. ძირს ჩადი, ძირს ჩადი, სხვა ვაგონში გადადი!..

ყვირილის გაგონებისას, ვაგონის გამცილებელი გარეთ ვამოვარდა, თავსაფრიან დედაკაცს თვალი რომ მოპერა, სასტრატოდ მასთან მიიჭრა, ელენ ზრდილობით გვერდზე გასწია, თავსაფრიანს მიეშველა და დაწწული ჩემოდნები კუპეში ამოუტანა, თან ალერსით მიმართა:

— მობრძანდით, ძალუა მართა, მობრძანდით!..

მართამ ელენის გვერდით რომ გაიარა, მას პირდაპირ შეხედა და დაყვავებით უთხრა:

— როგორ გეკადრება, ქალო!.. ბოდიშს ვიხდი, უცაბედად მომივიდა!..

— შენობითაც რომ მელაპარაკება!.. — უფრო აქაბას და ელენ. — შენი ქალი ვინ არი!.. თავი მოგაქვს კონდუქტორის ნათესაობით!.. კონდუქტორ!.. კონდუქტორ!.. — ბრძანების კილოთი მიმართა ვაგონის გამცილებელს, — ახლავე სხვა ვაგონში გადაიყვანე ეს დედაკაცი, ვერ ხედავ, თავისი კალათებით გვაჭუშიანებს, ჩულქებს გვიხევს?.. ჩერა გადაიყვანე, თორემ თბილისში ჩემს კარგ მეგობართან, იცი რა დიდი კაცია, გიჩივებდ და მაშინ ნახავ რა დღე დაგადგება!

ვაგონის გამცილებელმა აინუნშიაც არ ჩააგდო ელენის გაწიწმატება, მართას ჩვენს კუპეში შემოუძღვა, ბარგი იქვე თავისუფალ ადგილზე დაალაგა და ჩვენ მოგვმართა:

— ძალუა მართას ამ არე-მარეში ვინ არ იცნობს!.. ჩვა შვილის დედაა... ადგილი კიდეც რომ არ მქონოდა, მაგ კაბას ქალს ჩამოსვამდი და ძალუა მართას მოვათავებდი. შე მგონია, ყველა გამამართლებდა ასეთი საკიელისათვის... მართამ ჩვენი შეწუხებისათვის ბოდიში მოიხადა, თავისი თერთად დაწწული ჩემოდნების გვერდით ჩამოჯდა,

თავსაფარი მოიხსნა და აშლილი თმები თითებით გადაწყვეტილი თავსაფრის ქვეშ თურმე შუახის მშევნიერი ჭარტელური მეტყველები იმალებოდა. ჭარარას ოდნავ შეევერცხლა მიხი თმები, სახეზე ნაოქები სრულიად არ აბერებდნენ, რადგან ისინი მხოლოდ გალიმების დროს სჩანდნენ გარკვევით.

გარედან კი კვლავ მოისმოდა ელენის ისტერიული ყვირილი. იგი ვილაცას ემუქრებოდა, ვილაცას თავისი მეგობრით აშინებდა...

— ისეთი რა დავუშავე ნეტავი, — ჩუმად ჩაილაპარაკა მართამ, — რომ არაფერს მაკლებს!..

— გასაბრაზებელი კი აქვს მაგ ქალს, — თქვა კუპეში მყოფმა მამაკაცმა. — ორი ქმარი გამოიცვალა. ორც ერთისაგან შეილი არ შეირჩინა, და ამბობენ, ახლა ახალი საქმრო უპოვნიაო.

ამ დროს ჩვენი კუპეს კარი გაიღო და ელენმა თავი შემოყო. მისი ადგილიც აქ იყო. ელენმა მართა რო დაინახა, თვალებიდან ისევ ნაპერწყლები გადმომჰყარა.

— ესლა მაკლდა, აქაც ჩემს გვერდით მოხვდი!.. მართა წონასწორობიდან არც ახლა გამოსულა:

— რა იყო, შვილო, რა დაგიშავე ასეთი!..

ელენ უცებ დამშვიდდა და ცოტა ხნის შემდეგ სიცილიც კი დაიწყო. ალბათ იმან იმოქმედა, მართამ მას „შვილი“ რომ უწოდა.

მართა ტკბილი ხმით გვესაუბრებოდა:

— ოთხი შვილი თბილისში მყავს. ერთი ქარხნის დირექტორია, მეორე ორთაჭალჭეს აშენებს, ორი კი, ვაჟი და ქალი, ენაცვალოთ დედა, უმაღლესში სწავლობენ. მათთვის ცოტა რამ მიმაქვს, ჩვენებურია, გახსარდებათ...

ელენ კვლავ აიმრიზა, რადგან ხედავდა, რომ ჩვენი ყურადღება მართასკენ იყო მიმართული. რა არ იღონა, ძველი ბოშური სიმღერაც კი წამოიწყო ლილინით... ერთხანს მართას დაჯაბნებაც კი მოინდომა, მაგრამ ჩვენს შორის მხარდამჭერი რომ ვერავინ ნახა. ზურგი შეგვაქცია და თბილისამტე ფანჯარას არ მოშორება.

ელმავალი უკანასკნელად აკივლდა, უხმოდ შესრიალდა თბილისის სადგურში და შეჩერდა.

ბაქანზე ერთი ორომტრიალი იდგა. ელენი ჩვენზე წინ ჩამოვიდა ვაგონიდან. ვილაც ახოვანი, შეს შუახის მამაკაცი შეეგება და ყვავილების თაგული მიართვა. ელენმა სიხარულისაგან ისე შექივლა, რომ მის ირგვლივ მყოფი ადამიანების ყურადღება მიიპყრო. ბოლოს ვაგონიდან მართაც ჩამოვიდა. სამი ვაჟი და ერთი გოგონა შეეგებნენ მას. ელენის დამხედურმა მართა რომ დაინახა, კარგად გავიგონე სხაპასხუპით თუ როგორ ჩაილაპარაკა:

— ელენე, იცი ის ქალი ვინ არის? ჩემი უფროსის, არჩილის დედაა, რეა შვილის დედა. აგრე არჩილიც. ლმერთო ჩემო, არიქა, მივიდეთ, შეეგებოთ მის დედას, პატივცემის ღირსია...

ძალაუნებურად ელენიც გაჰყვა.

იდგა მართა თავისი შვილებით გარშემორტყმული. სახე ბეღლიერებისგან ულიმოდა. მე შეეყურებდი შორიდან, მაინტერესებდა რით დამთავრდებოდა ყველაფერი. ელენის მეგობარი მასთან მივიდა, მართას მოწიწებით ხელი ჩამოართვა და ელენის გაცნობა მონიდომა.

— ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ, — ლიმილით შეაგება სიტყვა მართამ, — ამ ქალმა სულ ადვილად გაგვაცნო თავის გზაში...

ელენმა მართას თვალი ვერ გაუსწორა. ნაჩუქარ თაიგულს დახედა და მერე მორილებით მართას ჩაუდო ხელში.

გიგი გოგონისათვის



საქართველო
სამართლის მინისტრი

სოფელ ზოვლეს (კასპის რაიონი) ლენინის
სახ. კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ფაცო ნა-
ნიაშვილმა მოუვლელობით დახოცა ინკუბატორ-
ში გამოყვანილი 1000 ჭიჭილა.



ფაცოს, კოლმეურნეობის
ბალიც მოხწონს, ახოცა,
მან ათასი წიწილი
მოუვლელად დახოცა.

ეს ერთილა გადარჩა
და სურს პირმშოს ადაროს,
ფრჩისილებს წითლად უღებავს,
უნდა ბანტით ატაროს!

აესტორიან „რიონი“



— ირიოდე თუმანი ჩამოგვუვა ქუთაისიდან,
„არავე“ ვერ ვენდოთ, ვერც „ალაზანს“, ბოლოს ჩვე-
ნი „რიონი“ დავინახეთ და შევძედოთ, მაგრამ ვაი რომ
არც იმან დაგვინდო... დაგვახრჩო, ისეთი მღვრი
ანგარიში წარმოგვიდგინა.



— ზართლაც ჩა კარგია რომ საოცალეები შემოვილეთ, მთელი ქვეყანა
ამწვანებული ბალი მჰონია.

— არა, ჩემთ დაო, მთელი ქვეყანა ოქროსფრად ბრწყინავს.

რედაქტორი პარლო პალაძე. სარედაქტო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ო. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნინეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილი. Сатирико-юмористический журнал „Ниавги“. Редакция и рисунки: რუსთაველის პროსპ. № 42. ტეл. 8-10-49.

ნელმოწ. დასაბ. 1951 წ. 14/VII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1666. გამოც. № 13. ტირ. 15.000. უ03629



ნ. შ. 51.

პიპიკებების გარშემო

ხმელთაშვა ჭლვას მიადგა
შორი ქვეყნის შინაგარი,
მას არ უნდა ბრიტანეთის
ლომს ხელთ ეპურას ჰიბრალტარი...

არჩევანი ფრანგებს მისცა,
თვითონ დაბლა დაიწია...
მაგრამ მიხვდა ჰიბრალტარიც,
თუ რა თინს ხსადის ძია:

დაინახა მაქრატელი
ძიამ ჩოგონ გაჟერა ტომარს.
და მოელის ტომარიდან
ტომარაში გადახტომას!